**დანართი№1**
**,,დამტკიცებულია“**
**სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“- ს დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის №02-09/21 ბრძანებით**

# სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო” აცხადებს კონკურს

***კონკურსი ახალი ამბების სამსახურში:***

- **ოპერატორი-მძღოლი -1 ვაკანტური ადგილი;**
- **სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი;**
- **საქმიანობის ვადა: ექვსი თვე;**
- **შრომის ანაზღაურება: 1 000 ლარი.**

## სამუშაოს აღწერილობა:

ოპერატორის შრომით მოვალეობაში შედის ახალი ამბების გამოშვებების, მათ შორის, ახალი ამბების სპეციალური გამოშვებების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუების, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აგრეთვე წინასაარჩევნო დებატების, ინფორმაციული, ანალიტიკური და საგამოძიებო ჟანრის სატელევიზიო პროგრამებისა და ვებკონტენტის, მათ შორის სოციალურ ქსელებისათვის განკუთვნილი კონტენტის მომზადების მიზნით -

- აუდიოვიზუალური მასალის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების დროულად და ხარისხიანად განხორციელება;
- თემების მოპოვებისა და გადაღების მიზნით შესაბამის ადგილზე გასვლა, ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება და გადამუშავება, რესპონდენტების შერჩევა, სათანადო მოქმედებების ოპერატიულად განხორციელება;
- აუდიოვიზუალური მასალის ჩაწერის დროს ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;
- ექსტრემალური და განსაკუთრებული პირობების არსებობისას სიტუაციის გაანალიზება და სწორი გადაწყვეტილების მიღება;
- საჭიროების შემთხვევაში რეპორტიორის ფუნქციების შესრულება;
- გადაღებული მასალის გადამუშავება, მონტაჟი და სატელევიზიო ეთერსა და ვებპლატფორმებზე, მათ შორის სოციალურ ქსელებში განსათავსებლად მისი მომზადება;
- საორგანიზაციო საკითხების, შინაარსის, პროფესიონალიზმის, ხარისხის განვითარების საჭიროებების გამოვლენა;
- აპარატურის სწორი ექსპლუატაცია, ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის დროული ინფორმირება;
- სამსახურის უფროსის, პროდიუსერისა და რედაქტორის მითითებების შესრულება.

## *კონკურსის ძირითადი მოთხოვნები:*

- უმაღლესი განათლება;
- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, მოწესრიგებულობა, დეტალებზე ორიენტირებულობა;
- კომუნიკაბელურობა და პრეზენტაბელურობა;

- გუნდური მუშაობის უნარი;
- დინამიურ და სტრესულ გარემოში სწრაფად ადაპტირებისა და სამუშაო პროცესის მართვის უნარი;

***დამატებითი მოთხოვნები:***

- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- უცხო ენების ცოდნა (სასურველია).

***დამატებითი ინფორმაცია:***

კონკურსში მონაწილე დაინტერესებულმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს,
განსაზღვრულ ვადაში საკონტაქტო ელ-ფოსტაზე (hr@ajaratv.ge) უნდა წარმოადგინონ:

- განცხადება;
- რეზიუმე (CV)
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- ფოტოსურათი (3x4);
- სამოტივაციო წერილი (არაუმეტეს 100 სიტყვა);
- დიპლომისა და კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სამუშაო გამოცდილების (სტაჟი) დამადასტურებელი დოკუმენტები.

**კონკურსის ეტაპები:**
**კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:**

- განცხადების გადარჩევა;
- გასაუბრება;

**გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა**

- განცხადებებს განიხილავს სპეციალური კომისია ქულათა სისტემით;
- კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 2 თვისა;
- კომისია გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით;

განცხადების წარდგენის ბოლო ვადა: 2022 წლის 4 მარტი;
სამსახურის ადგილმდებარეობა: ქ. ქუთაისი.

***ინფორმაციის მიღების დამატებითი რესურსი:*** https://ajaratv.ge/

**საკონტაქტო პირი:HR - ნათია ხუნდაძე - ტელ: 577 23-26-07;**

**საკონტაქტო ტელეფონები: საკონტაქტო ელ-ფოსტა:** hr@ajaratv.ge

**შენიშვნა:**
**განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 4 მარტი 2022 წელი.**
**დაინტერესებულ პირს, რომელსაც სურს კონკურსში მონაწილეობის მიღება, გამოსაგზავნ ელ-ფოსტის (hr@ajaratv.ge) სათაურის ველში (subject) უნდა მიუთითოს „ოპერატორ-მძღოლი“ დასახელება;**
**წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება არ განიხილება.**

**გისურვებთ წარმატებებს!**